ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01191513282**
თარიღი: **31/05/2019**
პინი: **2712**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც „სამსახური") განიხილა თქვენი 2019 წლის 29 მაისის #60-01191491460 წერილი და AR1677628 განაცხადით ატვირთული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ მოქალაქე თამაზ ზანდარაშვილის მომართვის საფუძველზე, შპს „სულხან საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ქ. თბილისი, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა #40 ს.კ. 01.14.05.008.196) (სზ-6) III კლასის ობიექტის/საერთო საცხოვრებლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე, სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას გამწვანების პროექტთან დაკავშირებით.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი გამწვანების პროექტის თანახმად, ტერიტორიაზე არსებული 3 ძირი ელდარის ფიჭვი, 1 ძირი იფანი, 1 ძირი თელა (ხილ-კენკროვნების და 2 ძეძვის ბუჩქის გარდა) და ახალი გამწვანებული სივრცეების მოსაწყობად შემოთავაზებული 63 ძირი მწვანე ნარგავი (10 ძირი კედარი, 10 ძირი იტალიური ფიჭვი, 8 ძირი ჭადარფოთოლა ნეკერჩხალი, 5 ძირი წვრილფოთოლა ცაცხვი, 3 ძირი ევროპული მუხა, 10 ძირი რობინია, 3 ძირი ლიქვიდამბარი, 2 ძირი ირმის რქა, 12 ძირი ფოტინია) სრულად ითვისებს კ3-0.3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (1451 კვ.მეტრი). გასამწვანებლად შემოთავაზებული მცენარეები (სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) შერჩეულია კლიმატური, ნიადაგობრივი, დეკორატიული და ურბანული პირობების გათვალისწინებით, **ამდენად სამსახური თანახმაა არსებული სახით შეითანხმოს გამწვანების პროექტი.**

ინფორმაციის სახით გაცნობებთ, რომ გამწვანების ბანერის გამოკვრამდე მასზე უნდა დაფიქსირდეს პროექტის შეთანხმების კონკრეტული თარიღი (თარიღად განისაზღვროს მშენებლობის ნებართვის აღების თარიღი).

აქვე გაცნობებთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის" შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოიყენება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისთვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი 21-ე მუხლის მე-5^1 პუნქტი).

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

გამოყენებულია კვალიფიციური

